პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГАЗЕТА ОСНОВАНА 1920 ГОДА 3 ИЮНЯ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 294 (20885) — შაბათი, 24 დეკემბერი, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

შევძენათ უწყვეტი განათლების ერთიანი სისტემა

სახალხო განათლების მუშაკთა საკავშირო ყრილობა

22 დეკემბერს მასწავლებელთა საკავშირო ყრილობა მუშაობას განაგრძობდა.

ეროვნის ესთეტიკური აღზრდის ცენტრის გენერალურმა დირექტორმა **გ. ს. იგიტანმა** მთელი სიმღერა ხალხის სახელით უდიდესი მადლობა გადაუხადა საპჭოთა ადამიანებს, ქვეყნის ხელმძღვანელობას მინისტრის შემდეგ ძმაძე დღეებში რესპუბლიკისათვის გაწეული დახმარებისათვის.

სახალხო განათლების პუბლიკაციისა და პიროვნების ჰარმონიული განვითარების სექციის მუშაობის შესახებ ილაპარაკა შემოქმედებითი გაერთიანება „უიონსტის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა **რ. ა. ბიკოვმა,** სოფლის სკოლის სექციის შესახებ — მოსკოვის ოლქის სოფელ ნიკონოვსკოეს საშუალო სკოლის დირექტორმა **ნ. ნ. ზაბაროვამ,** უმაღლესი განათლების სექციაზე — მოსკოვის რარხანინტერუმენტო ინსტიტუტის რექტორმა **ი. მ. ხოლმენსკიმ,** პედაგოგიური მეცნიერების სექციაზე — ლენინგრადის ა. ი. გერცენის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა **გ. ა. ბორდოვსკიმ,** ბავშვთა დაცვის პრობლემების სექციაზე სიქტივკარის № 1 სკოლა-ინტერნატის დირექტორმა **ა. ა. კატოლიკოვმა,** სასწავლო პედაგოგიური ლიტერატურის სექციაზე გამომცემლობა „პროსვეშენიეს“ დირექტორმა **ფ. ფ. ზუევმა,** შრომითი აღზრდის სექციაზე — პეტრო-პავლოვსკის პედაგოგიური ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგემ **გ. ვ. კუზნეცოვმა.**

კამათი წყდება. 256 დელეგატი ჩაეწერა კამათში გამოსასვლელად. 55 დელეგატი გამოვიდა ყრილობის ტრიბუნიდან. წინა დღეს სექციათა სხდომებზე გამოვიდა 403 დელეგატი. დელეგატთა სურვილის შესასრულებლად ყრილობის სამდივნომ მოაწყო კამათში გამოსასვლელად ჩაწერილთა შეხვედრა ყრილობის პრეზიდიუმის წევრებთან, სსრ კავშირის განათლების სახელმწიფო კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკებთან და ჟურნალისტებთან, სადაც კონკრეტული წინადადებანი წამოაყენა 20 დელეგატმა.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **ნ. ი. რიჟკოვს.**

დღევანდელი გამოსვლებითა და ამ დარბაზში შექმნილი ატმოსფეროს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩანს, რომ ყრილობაზე ძალიან საინტერესო, კონსტრუქციული სკა-ბაასია, თქვა მან. გუშინ ამხანაგებმა გადმომცეს, რომდენად პრინციპულად განხილავენ აქ ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ამ სფეროში მიმწოფებულ საკითხებს.

თქვენ თავად გესმით, რომ მე ამ ამბების გავლენის ქვეშ ვარ, რომლებიც სომხეთში მოხდა. თქვენ კარგად ხართ ინფორმირებული ამ დიდი უბედურების შესახებ, იქ რომ დატრიალდა მიწისძვრის გამო. თქვენ ინფორმირებული ხართ იმ მხრივაც, თუ რა კეთდება იქ და როგორ გამოეხმაურნენ ამას მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიო თანამეგობრობა.

ბოლო დროს ჩვენ ძალიან ბევრი კრიტიკული შენიშვნა გვქონდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის გამო. და გულახდილი თუ ვიქნებით, ზოგიერთებს საეჭვოდაც კი მიჰნდათ მისი არსებობა, ლაპარაკობდნენ ჩვენი ხალხების რაღაც მექანიკურ ნარევზე, იმაზე, რომ ასეთი მეგობრობა სინამდვილეში არ არსებობს.

მაგ ასე, ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა შეგვძლია შეეფასოთ მხოლოდ ისეთ გამოვლინებათა მიხედვით, როგორიც არის სომხეთის ამბები. ეს მართლაც სალოზუნგო, სპეციალურ მეგობრობა კი არ არის, ამიტომ მთელი ხალხის გულწრფელი მეგობრობაა, მთელი ხალხის ტკივილია. იქ ვნახეთ და ვიგრძნეთ მთელი ჩვენი ქვეყნის მაჯისცემა. ჩვენ ამას ვგრძნობდით დეპეშებითაც, წერილებითაც, იმ დახმარებითაც, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან რომ წამოვიდა ამ რეგიონში. ადამიანები იქ ვერც კი ასწრებდნენ ამ დახმარების მიღებას. ეს ნამდვილად ისეთი ჰუმანური დახმარებაა, რომელიც ავლენს ადამიანის ღირსებებს უბედურების ჟამს.

ჩვენ აგრეთვე იმ შთაბეჭდილების ქვეშ ვართ, რაც ჩვენი თვალით ვნახეთ, — როგორ სხდებოდნენ ეშელონებში მთელი ოჯახები, მასწავლებლებთან ერთად, და მიემგზავრებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, სტავროპოლის მხარეში, ყუბანში, საქართველოში, მოლდავეთში, ყირიმში. ჩვენ ვნახეთ, როგორ ჩამოდიოდნენ რუსეთის სხვა რაიონებიდან და ეშელონებით მიჰყავდათ დაზარალებული ბავშვები,— სწორედ ეს არის ადამიანური სულის აღმაფრენა. და ეს ბავშვები საყოველთაო ზრუნვით არიან გარემოსილი.

მე მინდა გულითადი მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა დახმარების გაწევაში. დღეისათვის გაყვანილია 50 ათასამდე ბავშვი დედებთან და ახლობლებთან ერთად ჩვენი ქვეყნის სანატორიუმებსა და ჯანმთელობის კერებში.

პრობლემები სახალხო განათლებაში მართლაც უამრავი დგა-როვდა. ბევრი მთგანი წყდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებების წყალობით. მაგრამ ამ ყრილობის შემდეგ, ჩემი აზრით, საჭიროა იმ წინადადებათა სისტემატიზება, რომლებიც აქ შემოვიდა, და ერთხელ კიდევ ყველაფრის სეროზულად გააზრება. ჩვენ გულდასმით განვიხილავთ ყველა საკითხს, რომლესაც აქ შეეხნენ. პირობას გაძლევთ, რომ სსრ კავშირის მინისტრები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები აუცილებლად შემობარუნდებიან ჩვენი სასწავლებლებისაკენ. ჩვენი სასწავლებლებისაკენ.

ჩვენ გვესმის, რამდენად ძნელია თქვენი შრომა. ჭეშმარიტად, მასწავლებლად, პედაგოგად მუშაობა — ეს მოღვაწეობაა. იმის მატერიალური შეფასება, რასაც თქვენ აკეთებთ, ზოგჯერ რამდენადმე ძნელია. ეს გმირობაა თქვენს ცხოვრებაში, თქვენ მართლაც განგიმოიმბა ჩვენი შესანიშნავი მასწავლებლების, პედაგოგების, ჩვენი მეცნიერების დიდ ტრადიციებს, რომლებიც მრავალი ათწლეულების მანძილზე საზოგადოებამ მოთხოვნათა სიმღერაზე იდგენ. ჩვენ ვიცით, რომ თქვენი პედაგოგიური გარემო მართლაც ატარებს იმ მუტაციებს, რომელსაც საფუძველი წინა თაობებმა ჩაუყარეს.

მე ყოველთვის ქედს ვიხრიდი პედაგოგების წინაშე, მასწავლებლების წინაშე, რადგან შეიძლება შემქმნა ნებისმიერი მატერიალური ღირებულებანი, მაგრამ თუ არ იქნება ნამდვილად განათლებული საზოგადოება, იგი სრულფასოვანი ვერ იქნება. მხოლოდ განათლებული, ინტელიქტუალური საზოგადოება არის ჩვენი მოწინავე სოციალისტური წყობილების ღირსი.

ნ. ი. რიჟკოვმა მთავრობის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა ყრილობის დელეგატებს და უსურვა ყველას დიდი წარმატებანი მუშაობაში.

ყრილობამ აირჩია სახალხო განათლების საკავშირო საბჭო. დეტალური განხილვისა და შესწორებათა შეტანის შემდეგ მიღებულია ყრილობის რეზოლუცია.

სახალხო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **გ. ა. იაგოდინმა.** ენთუზიაზმი, გულისტკივილი, პრობლემების გაგება, მხურვალე დინტერესება და მათი გადაჭრის სურვილი, აზრის გამბედაობა, საკუთარი პოზიცია — ეი რა დაეხასიათი ჩვენ ყრილობაზე, თქვა მან. ეს მოწმობს, რომ ჩვენ მზად ვართ ცვლილებებისათვის. დელეგატების სგამოსვლებმა დაადასტურა, რომ ჰუმანიტარიზაცია და დემოკრატიზაცია როგორც განათლების ახალი ხარისხის გზა, სწორად არის არჩეული.

* * *

ყრილობა დახურულად გამოცხადდა. დარბაზში ატყორდა საპჭოთა კავშირის ჰიმნი.

(საკდესი).

კულტურის ობიექტების მშენებლობაზე

21 დეკემბერს მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში გაიმართა თათბირი, რომელშიც განიხილა კულტურის ობიექტებიც, კერძოდ, თბილისის თეატრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამარტივებასთან დაკავშირებული პრობლემები.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ სამინისტროებისა და უწყებების, თეატრებისა და საკონცერტო ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირების, ხელმძღვანელები, არქიტექტორები, მშენებლები, სპეციალისტები.

თათბირის მონაწილეები ადგილზე გაეცნენ სიმფონიური მუსიკის დარბაზის, კინომსახიობის თეატრისა და ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური თეატრის სამშენებლო სამუშაოთა მსვლელობის მიმდინარეობას და გამოთქვეს შენიშვნები და წინადადებანი დასახული გეგმების დაჩქარების შესახებ. გაიმართა საკმაოდ ჯანსაღი და კონსტრუქციული სკა-ბაასი სხვა მშენებლებე და სარეკონსტრუქციო შენობების, კერძოდ, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებზე. აღინიშნა, რომ დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მეტეხის ახალგაზრდული, პანტომიმის თეატრების ძველი დარბაზების ხელახალი მოწყობის ტემპის დაჩქარებას.

განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა დაგით აღმაშენებლის პროსპექტზე სამფოინური თეატრის მშენებლობის მდგომარეობა. ორიგინალური სილამაზის ნაგებობა დიდი კულტურული კომპლექსის ნაწილია, რომელიც გაერთიანებს მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრს, მუსიკის სახლს და რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირს, საზიფსეული კინოსკონცერტო თეატრს, გახდება მშრომელთა ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდის ნამდვილი ცენტრი.

სიმფონიური მუსიკის დარბაზი შეძლებს მიიღოს ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის სახელგანთქმული კოლექტივები: მაისის პიროველ დეკადაში, მისი საზეიმოდ გახსნის დღეებში, აქ გამოვა ფინეთის ცნობილი ეროვნული სიმფონიური რადიოორკესტრი.

მშენებლებთან თეატრების, შემოქმედებითი კავშირების საკონცერტო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან საუბრისას განსაკუთრებით აღინიშნა, რომ საჭიროა ობიექტების მშენებლობა მაღალი ხარისხის იყოს, რადგან იგი ფასკუთვნილია არა მარტო დღევანდელი, არამედ მომავალი თაობებისთვისაც. იმისდამიხედვით, რას დავუტოვებთ მათ, ობიექტებენ ჩვენზე მომავალი ქალიშვილები და ჰპბუკები. ამასთან დაკავშირებით გამოითქვა წინადადება, რომ მშენებლობაში ფართოდ ჩაბმან ახალგაზრდობა, კომკავშირული ჯგუფი. დაისახა მთელი რიგი კონკრეტული გადაწყვეტილებანი, მიეცათ დავალებანი, განისაზღვრა მათი დროული შესრულების ვადები.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატაშვილმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ო. გ. ეარძელაშვილი, ბ. დ. მახარაშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგე ვ. გ. ლორთქიფანიძე.

(საკინფორმი).

შეხვედრა ქართველ სტუდენტებთან და ასპირანტებთან

მოსკოვი. 23 დეკემბერი (საკინფორმის სპეც. კორ. ზ. გრიგლიანელი). სახალხო განათლების მუშაკთა საკავშირო ყრილობის მუშაობის დაძაბული გრაფიკის მიუხედავად, ყრილობის მონაწილეებმა გამონახეს დრო კიდევ ლოგიისათვის. საქართველოს კულტურულ-საგაჭრო ცენტრ „მზიურში“ არბატზე გაიმართა სახალხო განათლების სამინისტროს ხელმძღვანელების, მამდინარე ფორუმის დელეგატების ჯგუფის, რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობის თანამშრომლების შეხვედრა საქართველოს სტუდენტებთან და ასპირანტებთან, რომლებიც მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ.

შეხვედრის გახსნისას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივმა წარმომადგენელმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ნ. მეძმარიაშვილმა აღნიშნა, ასეთი შეხვედრების ტრადიციული ხასიათი, მიიპყრო შეკრებილთა ყურადღება იმას, რომ ახალგაზდელი შეხვედრა პირველად იმართება „მზიურში“, რომელიც არსებითად ქვეყნის დედაქალაქში ქართული კულტურის ინოვერსიტეტი და ცენტრი გახდა.

ბევრი აქ მოგიდა სახალხო განათლების მუშაკთა ყრილობის მეორე დღეს მოქმედი სექციების მუშაობის დამთავრების შემდეგ, რომელსაც განიხილეს სწავლებისა და აღზრდის ყველა რეალის სრულყოფის პროგენები. და თითქოს წინათ დაწყებული საუბრის განგრძობაო, აქ კვლავ გაისმა საქართველოს სახალხო განათლების მინისტრის გ. ეხუკაძის სიტყვები ახალგაზრდა თაობის ისტორიული მისიის შესახებ, რომელსაც უნდა ჩაიბაროს გარდაქმნის ესტაფეტა. მის მოქალაქეობრივ სიმწიფეზე, ტალიტე ზნეობრივ ორიენტირებზე მნიშვნელოვანწყლოდ არის დამოკიდებული ჩვენი საზოგადოების განახლებისა და დემოკრატიზაციის ბედი.

შეხვედრაზე ახალგაზრდობა სვამდა სრულიად სზვადასხვაგვარ საკითხებს, რომლებიც მას აწუხებს. ზოგიერთ მათგანს პასუხები იქვე გაეცათ. კონკრეტული განმარტებანი გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სმინისტროების ხელმძღვანელი მუშაკები, უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, თვალსაჩინო მეცნიერები. სხვა სასარგებლო და საქმიანი წინადადებანი, რომლებიც მოითხოვენ გარკვეულ ანალიზს, შესწავლას, დაფიქსირეს და კონტროლი დაეწესეს შემდგომი გადაწყვეტისათვის. მაგალითად, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტმა თეა სხიერელმა მხარი დაუჭირა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მომდგარ ჟურნალისტთა უფრო მჭიდრო თანამშრომლობას, ხოლო ამავე უმაღლესი სასწავლებლის ფაკულტეტის ბაკურ ბერიაშვილმა ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა სათანადო პირობები შეიქმნან სპეციალისტებს, რომლებიც მოსკოვიდან ბრუნდებიან. სამართლიანი იყო ელექტრომექანიკის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტის მანანა ციკაგის შენიშვნა ტერმინოლოგიის ახალი ლექსიკონების გამოცემათა თაობაზე. შემდეგ სიტყვა ითხოვა მოსკოვის ოლქის ნ. კრუშსკაიას სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ახალი ბერძნული ენის ფაკულტეტის სტუდენტმა მარინე კოტიდომ, რომელმაც მაღლობა გადაიხადა იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცა თავისი მშობლიური ენა შეისწავლოს არა მარტო საშუალო სკოლაში, არამედ პრესტიჟიულ უმაღლეს სასწავლებელშიც.

ცენტრ „მზიურის“ გახსნა, აღინიშნა შეხვედრაზე, ხელშეწყობ წინამძღვრებს უკმნის, იმ ქართველი ახალგაზრდობის მუდმივ, სასარგებლო ურთიერთობას, რომლებიც მოსკოვში სწავლობენ. ყოველდღე აქ თბილისიდან მოაქვთ ახალი გაზეთები, ორი თვის შემდეგ კი გაიხსნება ბიბლიოთეკა სამეცნიერო დარბაზით.

შეხვედრის დასასრულს ორი ღონისძიებანიშნავი მოვლენა მოხდა. ვიტორ ჩერნენმ და სულხან ბახორაძემ ი. სურიკოვის სახელობის სამხატვრო ხელოვნებისა და პოლიგრაფიულ ინსტიტუტების ორმა დიპლომანტმა, სტიქიონ დაზარალებულ სვანეთის მცხოვრებლებს სამუქრად გადასცეს თავიანთი სურათები. შემდეგ კი როიალთან მივიდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნინი ბერეგოვა და რესპუბლიკის სახალხო არტისტი შოდი ბოგანელიშვილი. ცენტრის დარბაზებსა და ოთახებს მოეფინა დიდებული ქართული სიმღერა. (საკინფორმი).



ქუთაისური ფოტოგლოკეგი

ეს მოსახერხებელი, მარდი, მომცრო ზომის მანქანები მიწათმოქმედების, საკარმიდამო ნაკვეთების მფლობელების, მიბალეობა-მეფოსტენოების ამხანაგობათა წევრების შეუცვლელი თანაშემწეები გახდნენ. დიდი მწარმოებლობით ახლულებენ ისინი ყოველგვარ სახოფლისამეურნეო სამუშაოს: ამუშავებენ ნიადაგს, ვენახების მწკრივთშორისებს, თიბავენ ბალახს.

თერმიტს თვეში ქუთაისის სსრ კავშირის კონტატუციის სახელობის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა გამოუშვა „სუპერ-610“ მარკის 3.550 მოტობლოკი და შეასრულა წლიური პროგრამა.

ამას წინათ გაერთიანებამ პირდაპირი სამეურნეო ურთიერთობა დაამყარა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ქარხანა „რობიქსთან“. მხარეებმა დადწყეს ლონისძიებათა შემუშავება და განხორციელება, რომელთა მიზანია მცირეგაბარიტიანი ტექნიკისა და მცირე მექანიზაციის საშუალებათა წარმოების განვითარება საერთაშორისო კოოპერაციის შესაძლებლობათა გამოყენებით. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია გაიზარდოს ისეთი პროდუქციის გამოშვება და ეკსპორტი, რომელიც ტექნიკური დონითა და ხარისხით საუკეთესო მსოფლიო ნიშნებს შეესაბამება.

* * *

სურათებზე: 1. გაერთიანების მეთაური სპეციალიზებული საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროს ინჟინერ-კონსტრუქტორი მალხაზ ჩხეიძე მუშაობს უნგრეთის ქარხანასთან კოოპერირებული მცირე მექანიზაციის საშუალებათა კვანძებსა და დეტალების შემქმნელზე;

2. უფროსი ინჟინერ-გამომცდელი მერაბ მალლაკელიძე და მძღოლ-გამომცდელი ლერი მინდაძე ახალი მცირეგაბარიტიანი ტექნიკის გამოცდის დროს.

საკინფორმის ფოტო.

რადიკალური რეფორმა

ასაკს XIX საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკური სტრუქტურის გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის ღონისძიებათა განხორციელება, ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის ახალ ეტაპზე გადასვლა ძირეულად ცვლის სახელმწიფო გეგმის შინაარსსა და ორგანიზაციულ საფუძველს.

მომავალი წლიდან ყველა საწარმო დარგი სრულ საეურნეო ანგარიშსა და თვითფინანსებზეა გადაყვანილი. მინიმუმამდე შეიზღუდა ცენტალიზებულად დასაგეგმავი მაჩვენებლები. ამან განაპირობა ბაგეგმავი და, საერთოდ, სამეურნეო მუშაკთა საქმისადმი ტრადიციული მიდგომებისა და მეთოდების ძირეული შეცვლა.

ამასთან საგანო სგეგმო დავალებათა ფორმირება სახელმწიფო შეკვეთის წილის მკვეთრი შემცირებისა და რესურსებით მომარაგებაში სანიიუმო ეაჭრობის რიგ ასპექტებად გაძლიერებას პირობებში მოხდა, რამაც ხუთწლიანი გეგმით 1989 წლისათვის ჩამოყალიბებული პროპორციებისა და სამეურნეო კავშირურთიერთობის გარღვევა, მრავალმხრივი ეკონომიკური მანევრები მოითხოვდა.

დიახ, მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფო შეკვეთის, როგორც დირექტიული მაჩვენებლის წილი საწარმოო პროგრამის საერთო მოცულობაში. მთლიანად რესსურსების ბრუნველობაში იგი შემდნარე წელთან შედარებით მცირდება 19,8 პუნქტით, ანუ 49,5 პროცენტამდე, ხოლო საქართველოს სსრ მინისტერთა საბჭოსადი დაკვეთებარეული მეურნეობის ნახი — შესაბამისად 17,9 პუნქტით, ესე იგი 47,7 პროცენტამდე.

ასპროცენტიანი სახელმწიფო შეკვეთა, როგორც უკვე მრავალი კოლექტივი დარწმუნდა, ხელს უწყობდა საწარმოებს პროდუქციის გამოშვების მანეგრირებაში, მოგების ზრდის ოპტიმალური გზების ძიებაში, ძირს უთხრიდა სამეურნეო ანგარიშსა და თვითფინანსებას.

ინერციდან, სახელმწიფო შეკვეთის პროდუქციის გამოშვებასთან ერთად, ფირმიდ განვითარდა ბაზა ამისი წარმოება პირდაპირი ხელშეკრულებით, ეს კი მკვეთრად ზრდის კოლექტივების წილთან პარტნიორების ვალდებულებათა ზუსტად შესრულებ ალ ბ ა, რომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების დროულ გაფორმებას, ამ საქმის დაყოვნებამ მომავალში შესაძლოა მრავალი სირთულე გამოიწვიოს.

ჩვენ ხელოა გვაქვს მონაცემები, რომლებიც მოწმობს, რომ ნოემბრის შუა რიცხვებისათვის ხელშეკრულებები პარტნიორობის თაობაზე მთლიანად გააფორმეს „საქქვანაზნის“, „მეორეულ-შავლითონრნის“, „საქპოლიმერკონტეინერის“ საწარმოო გაერთიანებებმა, „ანალიზელსაწყოს“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ, კვანის ტყვია-თუთიის მადნართა-სამმართველომ, თბილისის გაზის აპარატურის, ცხინვალის მომანაწილეებული სადენების, ქუთაისის რეზინ-ტექნიკური ნაწარმის, ზესტაფონის „საქკაბელის“, ფოთის „ელექტროაპარატის“ ქარხნებმა.

კიდევ უფრო შეუწყნარებელია ის ფაქტი, რომ ამ მხრივ სრულიად არაფერი ჩქონდათ გაკეთებული ზემოხსენებული დროისათვის რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს, სახალხო განათლების სამინისტროს, გამსაკუთრების სისტემებს, ზოგიერთ სხვა ორგანიზაციას. საერთოდ, ხელშეკრულებანი პროდუქციის მიწოდების თაობაზე ჯერჯერობით არ დაუდია საკავშირო დაკვეთდებარეულის ექვს სსრკ-ში, აგრეთვე რესსუბლიკის ხუთ სამინისტროსა და უწყებას. მომხმარებელი არ აპყავს საკმაოდ სოლიდური რაოდენობის — თითქმის 146 მილიონი მანეთის პროდუქციის. ამ მხრივ პასიურობენ აგრეთვე რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაც.

ამ ყველაფერ ამ ფაქტებ ერთ-ერთ ეკონომიკურ ბერკეტ ეფექტიანობ ეძინ ნ ეფექტ ეფექტ ეფექ ეფ ეფ ეფ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე განხილულ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომების ტერიტორიულ-დარგობრივი გაერთიანებების საქმიანობის გარდაქმნის საკითხი.

აღინიშნა, რომ ამ ბოლო ხანს ქალაქების ფოთის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, მარნეულის, სოხუმის, ბათუმისა და ცაგერ-ჩიელის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ეკონომიკური ექსპერიმენტის სახით შექმნილმა ტერიტორიულ-დარგთშორისმა გაერთიანებებმა თავიანთი ფუნქციონირების მანძილზე დადასტურეს სოციალურ-უნარიანობა, საკრძნობ როლს ასრულებენ შესაბამის ტერიტორიაზე ეკონომიკის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული ცხოვრების საკვანძო საკითხების გადაწყვეტაში. ამასთანავე რადიკალურ ეკონომიკურ რეფორმასთან დაკავშირებით მომწიფდა იმის საჭიროება, რომ აღნიშნული გაერთიანებები გადაყვანილნ უპირატესად მეურნეობრიობის ეკონომიკურ მეთოდებზე, სრული სამეურნეო ანგარიშის და თვითდაფინანსების პრინციპებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა აღნიშნული ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოთა აღმასკომებს გარდაქმნან ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანებების საქმიანობა და ორგანიზაციული სტრუქტურა შესაბამისი ტერიტორიის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის სოციალური და ეკონომიკური განვითარების კონკრეტული ამოცანებისა და თავისებურებების გათვალისწინებით.

საჭირო დაგალებანი მიეცათ რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების რეგიონის შედეგების საკითხის განხილვისას ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, ხელმძღვანელობდნენ რა XXVII კონგრესის, XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის დარგში, მიაღწიეს სახოგადოებრივი წარმოების და მისი ეფექტიანობის შემდგომ ზრდას, შეასრულეს ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებელები. განხორციელდა სახალხო მეურნეობის ეკონომიკური პოტენციალის დონის ამაღლების, სახელმწიფო, საგგამო და საფინანსო დისციპლინის განმტკიცების, შეურნეობრიობის მართვის სრულყოფისა და მისი ახალი ფორმების დანერგვის ღონისძიებანი.

აქასთანავე აღინშნა, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ იყენებენ სრულად წარმოების ეფექტიანობის გაზრდის შესაძლებლობებს, კვლავ დაძაბულია ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის მდგომარეობა.

ზოგიერთი სამინისტრო, უწყება და სახალხო დეპუტატთა აღგილმბრივი საბჭოს აღმასკომი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობდა საქვეუწყებო საწარმოებისა და საქვეუწყებო ორგანიზაციების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის გაუგებრობების საკითხებს, შეგრიგებლურად ეკიდებოდა მათ მიერ წარმოებული, მოგების, ბიუჯეტის გადასახდელების გეგმების შეუსრულებლობის, პროდუქციის თვითფირებულების გაძვირების და სხვა ფაქტებს.

დიდი მოკლეობის ჩამორჩენა დაუშვეს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, სახადგრომრეწველ, ყოფილი საშენ მასალათა სამინისტროს, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებმა და გაერთიანებებმა, და სხვებმა. მრავალმა საწარმომ და სამეურნეო ორგანიზაციამ ვერ უზრუნველყო ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების კომპლექსური ღონისძიებებისა და დავალებების შესრულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა „დაავალა რესპუბლიკის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს, აფხაზეთისა და აჭარის სსრ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახხალი ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს ძირეულად გაუმჯობესონ. საქვეუწყებო ორგანიზაციათა ფინანსური-სამეურნეო საქმიანობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 29 იანვრის დადგენილება „შუამობის მრავალეცვლილ რეჟიმზე საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, მთელ რიგ საწარმოთა გადასვლის დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოების მუშახელით უზრუნველყოფის ნაწილში და ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით გაწეული გარკვეული მუშაობის მიუხედავად, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში მუშახელის გაგზავნის დავალებებს მრავალი რაიკომსმაკომი ვერ ასრულებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა და გაერთიანებათა ყურადღება მიაპყრო იმის, რომ ჯერ-კიდევ ღონისძიებანი არ განუხორციელებიათ მუშაკთათვის შრომისა და ყოფა-ცხოვრების საჭირო პირობების შესაქმნელად და მოსთხოვა მათ ძირეულად გარდაქმნან მუშაობა ამ მიმართულებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განხილეს დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის სხვა საკითხებიც. (**საინფორმი**).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბრძანებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბრძანებულებით ამოქმედ ეფექტიანობის ამაღლებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის ზომებისა და ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის ამოცანებიდან ამ თვეში ამოქმედ ეფექტიანობის ამაღლებისა და ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის ამოცანებიდან ამ თვეში ამოქმედ ეფექტიანობის ამაღლებისა და ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის ამოცანებიდან ამ თვეში ამოქმედ

**

მითქმა-მოთქმა და ნინამდვილე

ტუალური ინტერვიუ

2 ივნისი. დილის 8 საათი...

ოდ ამ დროს დაიწყება ...ობის საკავშირო აღნ... რომელსაც ერთის ...ბა ...ბ სამუშაო უძღვის წინ. ...ბ აღწერა რიგით ...ბ ...ენის ქვეყანაში და ...ოდ ადრინდელ გამოცდ...ბ ეურნალობა. მაგრამ არ...ბას ...ენიც... ამის თაობაზე ...ბა ...ენის კორესპონდენტს ...ბ ...ენის სსრ სტატისტიკის ...ბ ...ენიანი კომიტეტის თავმჯ...ბ ...ენის მოადგილე თეიმურაზ ...ბ...

...ბ ...ენიანელობის სრული აღ...ბ ...ენიანებელი ...ენიანებელ...ბ ...ენ...ბ ...ენ...ბ ...ენ

მაღლი გულისა

თეატრს ზშირად საყვედურობენ, ალარ არისო ერის სულიერ ზრდასთან გამომბატველი. სადღაა თეატრი — ტაძარი, თეატრი — კათედრა... ამის თაობაზე შეიძლება ვიკამათოთ, მაგრამ წინათაც და დღესაც ვიცოდი და ვიცი: არსებობს ქართული თეატრი, რომლის მისია თავისი მნიშვნელობით ალემატება ჩვენს პროფესიულ პოლემიკებს, როგორც კეთილშობილურიც უნდა იყოს მათი მიზნები; ალემატება ჩვენს ღრმაზროვან მეცნერებებსაც. არსებობს თეატრი-კათედრა, ტაძარი, რომელიც არა მხოლოდ ხელოვნების იდეალებს ქადაგებს, არამედ სასიცოცხლო იმპულსს გადასცემს თავის მრეკლს. არსებობს ასეთი თეატრი აზერბაიჯანის სსრ კახის რაიონის სოფელ ალბეგლოში — ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული სახალხო თეატრი. მისი საფუძველი შედეგობებულია მძლავრი გრძნობით, განცდით, ბრწყინვალით.

ალბეგლის ქართული სახალხო თეატრი ინგილოთა სოფლისა და გონების განუყოფელი ნაწილია, მათი და ჩვენი ტკივილის გამაერთიანებელი ბიდი, ანზორ დოლენჯაშვილისათვის კი მისი ცხოვრების აზრი, მიზანი, არსი, მოპოვებული რეალი და მტკიცე არჩევანისა და ყოველდღიური თავდადებული, ტიტანური შრომის შედეგად.

ჯერ კიდევ ინსტიტუტიდან მახსოვს ანზორი. სტუდენტური ერთობის ხალისიანი ეიფორიით გაბრუებულმა პირველკურსელებმა, ცხადია, ვიცოდთ, რომ ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტები სისტემატურად ჩადიოდნენ სანიგალოში, ბავშვებისთვის წეგნებს ჩაჰქონდათ, ზართაგანენ კონცერტებსა და სოფამოებს, დგამდნენ სპექტაკლებს. ისიც ვიცოდთ, რა სიძნელეების გადალახვი უუხდებოდათ. ანზორი ერთ-ერთი ყველაზე გულუფრი მოდგაწე იყო ამ საქმისა. და მაინც ვინ იფიქრებდა, რომ ამ ფრთა იგი ყველაზე მთავარი არჩევანის წინაშე იდგა, ვინ იფიქრებდა, რომ მის გოზებასა და სულში ბრიფდებოდა გადაწყვეტილება, საფუძველი ეყრებოდა საქმეს, რომელიც ასე აგვიფორიაქებდა, დაგვიფიქრებდა და გვაიძულებდა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავში ბავგებედა. ანზორ დოლენჯაშვილის არჩევანმა, დარწმუნებული ვარ, ჩვენი თაობისათვის შეფასების ახალი კრიტერიუმები მოსაზა.

ანზორად მიფიქრია ანზორზე, მის არჩევანზე, მოგეხსენებათ, ჩვენი სკეპტიკური გონება, ცხოვრებისეული ლოგიკა არ განიცდის იდეალიზმის სიტარბეს, მაგრამ ადამიანს, მის პიროვნულ ენერგიასა და ძალისმეგას თურმე ნებისმიერი დადგენილი სქემის, ლოგიკური ანგარიშის, საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დარღვევა ძალუძს. თუმცა კი ანზორის ნებისყოფის, შრომისმოყვარეობისა და ნიჭის მეჩნე მსახიობს, ალბათ, შეეძლო... რასაკვირველია შეეძლო, გაცილებით იოლ გზაზე მიეღწია წარმატებისათვის. მაგრამ ეს ჩვენი ლოგიკით... მისმა „სატკივარმა“ კი თბილისელი კაცი, მსახიობი უთეატრო სოფელში ჩაიყვანა თეატრის შესაქმნელად.

შექმნა კიდევ თეატრი, რომელიც მთელი სოფლის, მთელი რაიონის, მთელი საქართველოს ეროსსიქმის გამოხატავს, თეატრი, რომლის წარმოდგენებში მონაწილეობს მისადებად თბილისში სასწავლებლად ჩამოსული ინგილო სტუდენტები საგანგებოდ ჩადიან ალბეგლოში, თეატრი, რომლის პრემიერებზე საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლობა ეესწრება; თეატრი, რომელიც მტკიცე პროფესიულ საფუძველს ეყრდნობა. მსახიობებს უტარდებათ მეტყველების, ცეკვის, რიტმის გაკვეთილები.

ალბეგელის ქართულმა თეატრმა შეიმუშავა მიზანდასახული რეპერტუარული პოლიტიკა, რომელიც ძირითადად ეროვნული ლიტერატურისა და დრამატურგიის საფუძველზე ვითარდება. თეატრთან ჩამოყალიბდა საბავშვო სტუდია — თბილისელებს ამ სტუდიის შესანიშნავი წარმოდგენებიც ახსოვთ. ალბეგელის კულტურის სახლთან არსებული ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული სახალხო თეატრი ეროვნული კულტურის ის ცენტრია, რომელიც მოღვაწეობაც ჩვენი მეფმეი ფიქრისა და განსჯის საგანია. მის მეფეიერთა ჭეშმარიტად მამულიშვილური, თავდადებული საქმიანობის შედეგად სოფლში საფუძველი ჩაეყარა არაერთ შესანიშნავ ტრადიციას და ამან ბევრად განაპირობა ჩვენი ურთიერთკავშირების განმტკიცება.

სწორედ ალბეგელის თეატრი, ანზორ დოლენჯაშვილის პიროვნება და მის თანამოაზრეთა მოღვაწეობაა ის მაგალითი, რომელიც ზნეობრივი არჩევანის გაკეთების აუცილებლობას შეახსენებს ჩვენს თაობას. რეალური საქმეები, ზნეობრივი „აკტი“ თუ კომპრომისი, ოღონ „მოუდა“ — ამ ალტერნატივის წინაშე დგანან ალბეგლოელთა დადგმების გმირებიც: თეატრი ამ თემას განსაკუთრებული სიმწვავით გამოკვეთავს. ჩვენც ამ ზღვარზე ვართ, ჩვენც მოგვწევს არჩევანის გაკეთება და ნუ მეგვაკერთების სკეპტიკოსთა ეპეგები — ვის სჭირდება? ვინ დაგვიფასებს?... „თურმე კაი კაცს თავისი გულიდე მაღლს უსდის“.

ანა ჭავჭავაძე,
თეატრმცოდნე.

ბიჯვეშეი ეროვნული ... „ანზორ ... სამეარო“

ახლოვდება ახალი წლის დღესასწაული. დედაქალაქში დაიწყო საახალწლო გასარობა. ეს კადრები ვა. დადგენილია თბილისის უნივერსიტეტ „ბავშვთა სამყაროში“. ბარცხნიდან — სასთამაშოების სეანსი. ბავშვი ეხმარება „ბავშვთა სამყაროს“ მოგზავალ ნაძვისხის მოტოლოგის ამორჩევაში.

ს. კილაძის („ლომონისტი“) ფოტო.

მორიგი ტირაჟი

1988 წლის 30 დეკემბერს მოსკოვში გაიმართება 1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა 56-ე ტირაჟი.

ტირაჟში გათამაშდება მოგებები 100 მანეთიდან 10 000 მანეთამდე.

10 000 მანეთი მოგების მფლობელებს უფლება აქვთ უფროგიდ შეიძინონ ავტომობილები „ვოლგა“ ან „ეიგული“, 50 000 მანეთი მოგების მფლობელს — ავტომობილი „ეიგული“.

ავტომობილის ღირებულებისა და მოგების თანხის სხვაობა შეაქვს მოგებული ობლიგაციის მფლობელს.

აღნიშნული სესხის მორიგი ტირაჟი გაიმართება 1989 წლის 15 თებერვალს აშხაბადში.

1966 წლის სახელმწიფო სამპროცენტიანი ობლიგაციების გამოსყიდვისა და ამ ობლიგაციებით მოგებათა გადახდის ვადა გაგრძელებულია 1989 წლის 1 იანვრამდე. ამ სესხის ობლიგაციათა მფლობელებს უფლება ეძლევათ გაცვალონ ისინი 1989 წლის 1 იანვრამდე 1982 წლის სახელმწიფო შინაგანი სესხის ობლიგაციებზე კურსის განსხვავების გადაუხდელად.

სპორტი

ევროპელ ფეხბურთელთა დახმარება

ევროპის სამოცდაათიანი წლების საუკეთესო ფეხბურთელები გამართავენ მატჩს სომხეთში მოამზადონ მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა სასარგებლოდ. იტყობინება რა ამას, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დაკ-ს საგენტო, დასძენს, რომ თამაშში მონაწილეობას უკვე დათანხმდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდის მწვრთნელი ფრანც ბეკენბაუერი, მისი თანამემამულეები ბაიერნტერ ნეტცერი და პაულ ბრაიტნერი, ავრეთვე ავსტრიელი პაულ კრანკლი, იუგოსლავი ბობი ჩარლტონი და სხვა „ვარსკვლავები“.

ოცდაცამეტი საუკეთესო

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა საკავშირო მწვრთნელთა საბჭოს წინადადებით დამტკიცა 1988 წლის ოცდაკამეტი საუკეთესო ფეხბურთელი:

მეკარეები: 1. დასაევი, 2. ჩანოვი, 3. ხარინი.

მარჯვენა მცველები: 1. გორლუკოვიჩი, 2. ლოსევი, 3. ბეზსონოვი.

ცენტრალური მცველები: 1. ხიდიატულინი, 2. ვიშნევსკი, 3. როგოვსკი.

წინწაწეული ცენტრალური მცველები: 1. ო. კუზნეცოვი, 2. ზიგმანტოვიჩი, 3. პუჩკოვი.

მარცხენა მცველები: 1. დემიანენკო, 2. ჩერეფნიკი, 3. კატაშვილი.

მარჯვენა ნახევარმცველები: 1. ლიტოვჩენკო, 2. ე. კუზნეცოვი, 3. ნ. სავინი.

ცენტრალური ნახევარმცველები: 1. ალეინიკოვი, 2. შირინბეკოვი, 3. ბაგმუტი.

მარცხენა ნახევარმცველები: 1. დობროვოლსკი, 2. რაკი, 3. ნარბეკოვსკი.

მარჯვენა თავდამსხმელები: 1. მიხაილჩენკო, 2. ი. სავინოვი, 3. ბოროდიუკი.

ცენტრალური თავდამსხმელები: 1. ზაგაროვი, 2. ჩერენკოვი, 3. ზახოვი.

მარცხენა თავდამსხმელები: 1. პროტასოვი, 2. ლიუტი, 3. ბელანოვი.

სახელოვან ფალავანთა პრიზზე

25 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება საქართველოს ახოლუტური ფალავნობა ქართულ ჭიდაობაში, სახელოვანი ფალავნების ს. კახელაკის, ა. მეკოკიშვილის, ნ. ესებუას, ზ. ბაკურაძის და სხვათა სახელობის დასაწყისი 15 საათზე.

ვანო შადური

ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 1931 წლიდან სკკპ წევრი ვანო სიმონის ძე **შადური.** ჩვენგან წავიდა დიდებული პიროვნება, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი. შემოქმედებითი მუშაობით დამაშვრალს სიკვდილმა მაშინ მოუსწრო, როცა ჩვეული გულმოდგინებით იძიებდა ახალ თსალებს თავისი კუთხის დიდი შვილისა— აღაქსანდრე ყაზბეგის ცხოვრებისა და შემოქმედების იერკვლევ.

ვანო შადური დაიბადა ყაზბეგში 1910 წელს. სწავლობდა ჯერ სოფლის სკოლაში, შემდეგ — ვლადიკავკაზის ქართულ სკოლაში, სამუალო სკოლა თბილისში დაასრულა. ჯერ კიდევ მოსწავლეობის ჟამს დაიწყო რესპუბლიკურ პრესაში თანამშრომლობა, წერდა ლექსებს, მოთხრობებს ქართულად და რუსულად. შემდეგ ლენინგრადის უნივერსიტეტში სწავლობდა, იქვე დაამთავრა ასპირანტურა. 1941 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1955 წელს — სადოქტორო დისერტაცია.

ფართო და მრავალმხრივი იყო პროფესორ ვ. შადურის სამეცნიერო მოღვაწეობის სფერო. იგი მოიცავდა ქართული და რუსული ლიტერატურის აქტუალურ პრობლემებს, ქართველი და რუსი ხალხების კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობას, ლიტერატურის თეორიასა და მეთოდოლოგიას. თავის მიერ გამოკვლეული ფაქტებისა და დოკუმენტების ბრწყინვალე ანალიზის შედეგად ვანო შადურმა უაღრესად მნიშვნელოვანი გამოკვლევებით გაამდიდრა ჩვენი ფილოლოგიური მეცნიერება. მან გამოაქვეყნა 40 წიგნი, რომელთა შორისაა მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები უმაღლესი სკოლისათვის, სამასზე მეტი სამეცნიერო სტატია. ვ. შადური ნამრავლი დიდად პოპულარული იყო ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც.

ქართველი მეცნიერი წლების განმავლობაში იყო პუბლიცისტი და ლექციოტოვის საკავშირო კომისიების და სსრ კავშირის სახალხო განათლების კომიტეტის ლიტერატურათმცოდნეობის სბჭოს წევრი. მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა სახალხო უნივერსიტეტი ყაზბეგში. საოცარი სითბოთი ზრუნავდა იგი ორკონიკიძის ქართულ სკოლაზე.

ვ. შადური 38 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა თბილისის უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრას, იყო გამორჩეული პედაგოგი, ახალგაზრდობის ჭეშმარიტი მოძღვარი, საუკეთესო ლექტორი. მისი ხელმძღვანელობით დაცული ათობით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. პრინციპული და მომთხოვნი, მაგრამ ამავე დროს, უაღრესად გულისხმიერი და სამართლიანი ადამიანი, ასეთ ადამიანად ეხსოვნებოდა ყველა, ვინც ვანო შადურს ოდესმე ანგარიშს ... ...